თავი 5.

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემების მქონე ბავშვის დახმარების სტრატეგიები

ენის, მეტყველებისა და კოუნიკაციის განვითარებისთვის არ არსებობს ერთი კონკრეტული რეკომენდაცია, რომელიც ყველა მშობელს გამოადგება; ამის მიზეზი ისაა, რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, განსხვავებული ძლიერი და სუსტი მხარეებით.

როგორ უნდა იმუშაოს მშობელმა ბავშვთან სახლის პირობებში? პირველ რიგში, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სამუშაო პროცესს უნდა ჰქონდეს თამაშის და არა მეცადინეობის სახე. უმნიშვნელოვანესია, ბავშვი სიამოვნებას იღებდეს სწავლებისაგან. მშობლისა და ბავშვის ძალისხმევა მხოლოდ ამგვარად იქნება ეფექტური. ***და, როგორ უნდა ასწავლოს მშობელმა ბავშვს თამაშით?*** ქვემოთ მოცემულია ზოგადი რჩევები, რაც მშობელს მუშაობაში დაეხმარება.

რჩევები სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებისთვის

- გახსოვდეთ, ენისა და მეტყველების განვითარებაზე მუშაობისთვის **ყოველთვის არ გჭირდებათ სკამი და მაგიდა**. სხვადასხვა სტრატეგიები შეგიძლიათ გამოიყენოთ ქუჩაში თუ პარკში სეირნობის დროსაც.
- **ეცადეთ, მიიპყროთ ბავშვის ყურადღება**. დაჯექით მასთან ახლოს, მოკიდეთ ხელი (თუ არ აპროტესტებს), ჩახედეთ თვალებში და ამგვარად უთხარით საოქმელი. მაგალითად, ''შეხედე, წვიმს!''
- **ეცადეთ, გაითვალისწინოთ ბავშვის ინტერესები** და ესაუბროთ იმაზე, რასაც უყურებს ან რაც იცით, რომ აინტერესებს. მაგალითად, ხელში უჭირავს ბურთი. თქვენ მიდიხართ და ეუბნებით: ''ეს რა არის?'' - დაელოდეთ პასუხს. თუ არ გპასუხობთ, თავად აგრძელებთ: ''ბურთი! ეს ბურთი ლურჯია? კი, ლურჯია!''; მნიშვნელოვანია, სათამაშოებიც ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით შეირჩეს
- **ესაუბრეთ ყველაფერზე**, რაც ირგვლივ ხდება. გაახმოვანეთ თქვენი და ბავშვის ქმედებები. მაგალითად: ''სად არის კოვზი? აი, კოვზი. მოვურიოთ ჩაის. აბა გავსინჯოთ! რა გემრიელია!''; ამასთან, გაახმოვანეთ მისი სურვილები: ''რა გინდა? მანქანა?'' ' თუ ბავშვი თავისი ინიციატივით არ გპასუხობთ ან არ იმეორებს, **არ დააძალოთ**!
- **არ უსწორებთ ბავშვს შეცდომას!** თუ არასწორად ამბობს სიტყვას, მშვიდად ანოდებთ სიტყვის სწორ ფორმას. მაგალითად, თუ ბავშვი ამბობს: '' ბებე მოდაა''; ჩაეკითხეთ ''ბებია მოვიდა?''

რჩევები სასკოლო ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეების მშობლებისათვის:

- ყოველთვის დაიწყეთ მარტივი დავალებებით და ნელ-ნელა გაართულეთ. მნიშვნელოვანია, რომ დავალების შესრულება ძალიან რთული არ იყოს
- იქონიეთ რეალისტური მოლოდინები - ბავშვისგან არ მოითხოვოთ იმაზე მეტი, ვიდრე შეუძლია
- დარწმუნდით, რომ ბავშვმა თქვენი ნათქვამი ნამდვილად გაიგო - ხშირად მშობლები უწყრებიან ბავშვებს, რადგან მათ მითითებებს არ ასრულებენ, თუმცა ხშირად ამის მიზეზი ისაა, რომ ბავშვს არ ესმის ინსტრუქცია
- არ გადატვირთოთ ბავშვი - თუ ვერ ასრულებს დავალებას ეცადეთ გაუმარტივოთ სავარჯიშო. თუ მაინც უჭირს შესრულება, გადადით სხვა დავალებაზე
- ისეთი აქტივობების შემდეგ, რომელთა შესასრულებლადაც ბავშვს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ჩართეთ სახალისო აქტივობები (რათა თავიდან აიცილოთ გადაღლა და განმავითარებელი სავარჯიშოებისადმი უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბება)

ემოციური მხარდაჭერის სტრატეგიები

- ესაუბრეთ ნაკლებად მომთხოვნი ტონით
- შეაქეთ მისი ყოველი წარმატება
- მოერიდეთ შემფასებლურ დამოკიდებულებას
- იმ შემთხვევაში, თუ შეცდომას უშვებს, არ უთხრათ; ''შეცდომაა''!, ''ისევ არ გამოგდის'' და მსგავსი ფრაზები. ეცადეთ, გაუღვივოთ ინტერესი. მაგალითად, ასე: ''არ გამოვიდა? მოდი, ერთად ვიფიქროთ, რა შეიძლება გავაკეთოთ?''.
- გახსოვდეთ, რომ ბავშვთან უნარების გაუმჯობესებაზე მუშაობა აუცილებელია; თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვს ჰქონდეს დრო მისი საყვარელი საქმიანობებისთვის. სამეცადინო აქტივობებით გადატვირთვამ შეიძლება უკუეფექტი გამოიწვიოს და ბავშვმა გული აიცრუოს სწავლების პროცესზე

მუშაობის პროცესში დისციპლინის შენარჩუნების სტრატეგიები
❄ გახსოვდეთ, თამაში არ გულისხმობს დისციპლინისა და წესების არარსებობას
❄ ბავშვთან მუშაობისთვის გამოყავით კონკრეტული დრო (მაგალითად, კვირაში 3ჯერ, 16.00-იდან 16.30-მდე). შეათანხმეთ ბავშვთან არჩეული საათები
❄ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის წინ არ იდოს ბევრი სათამაშო
❄ მიეცით მას არჩევანი - რომელი სათამაშოთი დაიწყებს თამაშს? მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას მიიღებს, დანარჩენი ობიექტები შეინახეთ კარადაში
❄ ეცადეთ, დაასრულოთ დაწყებული ატივობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა, რომ შერჩეული საქმიანობა ზედმეტად რთულია ბავშვისათვის)

5.1. კონკრეტული აქტივობები ექსპრესიული ენის სტიმულირებისთვის

ქვემოთ განხილული აქტივობები დაყოფილია მარტივ (სკოლამდელი ასაკისთვის განკუთვნილი), საშუალო სირთულის (სასკოლო ასაკის ბავშვებისა და უმცროს-კლასელთათვის) და შედარებით რთულ სავარჯიშოებად (7წელი და ზემოთ).

მარტივი აქტივობები

1. წიგნების თვალიერება - აქტიურად დაათვალიერეთ ბავშვთან ერთად ნახატებიანი წიგნები და გაახმოვანეთ (თუ ნახატების თვალიერება არ მოსწონს, შეიძლება ხმოვანი წიგნებით დაინტერესოთ). იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზეა ბავშვის ენის განვითარება, თვალიერების დროს აქცენტი სხვადასხვა რამეზე კეთდება:

თუ ბავშვს ჯერ არ დაუწყია მეტყველება - აქცენტი გააკეთეთ არსებითი სახელების სწავლებაზე: ‘‘ ეს რა არის?’’; შემდეგ ეტაპზე, სასურველია მოქმედებების შესახებ შეკითხვების დასმა და გახმოვანება - ‘’რას აკეთებს?’’.

თუ უკვე მეტყველებს, მაგრამ ლექსიკური მარაგი მწირია, დასვით შემდეგი შეკითხვები: ‘’ ‘’ნახე, ბურთი! რა ფერია ბურთი? დიდია თუ პატარა? ‘’; ‘’ეს გოგო გახარებულია თუ მოწყენილი’’? .

გამოიყენეთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ''ზემოთ-ქვემოთ-შიგნით, გარეთ; მეტი-ნაკლები; დიდი-პატარა; ყველა-ზოგიერთი'' და ა.შ.

შენიშვნა: შეკითხვის დასმის შემდეგ, ელოდებით ბავშვის პასუხს.თუ არ გპასუხობთ, შემდეგ თავად ახმოვანებთ.

2. ბუშტებით თამაში - რიგრიგობით გაუშვით და გახეთქეთ საპნის ბუშტები. თან გაახმოვანეთ : ''ბახ! ბუხ! ფაფუ!''. ასევე: ''ვინ გახეთქა ბუშტი? მე! ახლა ვინ გახეთქა? შენ?''.

3. მზარეულობანა - სთხოვეთ ბავშვს, დაგეხმაროთ საჭმლის მომზადებაში. ამ პროცესში, ახმოვანებთ საკუთარ და ბავშვის ქმედებებს. თუ ბავშვი მეტყველებს, მასაც სთხოვთ, გითხრათ, რა გააკეთა.

4. პლასტელინით თამაში და ხატვა დაეხმარეთ ბავშვს, გამოძერწოს, დახატოს და დაასახელოს სხვადასხვა ობიექტები. სხეულის ნაწილების სწავლების ერთ-ერთი გზაა, ბავშვთან ერთად გამოძერწოთ ან დახატოთ კაცუნა: ''მოდი, ჯერ თავი გავაკეთოთ. კიდევ რა სჭირდება? თვალები...''.

5. განძის პოვნა - დამალეთ სხვადასხვა სათამაშო ბავშვის ოთახში და სთხოვეთ, ერთად მოძებნოთ ''განძი''. როდესაც ''საგანძურს'' შეაგროვებთ, ორივემ ცალ-ცალკე დაასახელეთ, რა იპოვეთ.

საშუალო და მაღალი სირთულის აქტივობები

1. **სიუჟეტური სურათების მიხედვით თხრობა.** ერთ გვერდზე ამობეჭდეთ სიუჟეტური სურათები და ბავშვთან ერთად დაჭერით. ამის შემდეგ, დაალაგეთ ისინი არეული თანმიმდევრობით და უთხარით ბავშვს: ''ნახე! ეს სურათები არეულია. ახლა მას ისე დავალაგებ, რომ გამოვიდეს ამბავი (დაალაგეთ სწორად!): ''ე.ი გოგონამ აიღო კბილის ჯაგრისი. შემდეგ, ჯაგრისს წაუსვა პასტა და კბილები გაიწმინდა''. ამის შემდეგ, ბავშვს მიეცით სხვა სიუჟეტური სურათები , სთხოვეთ დაალაგოს და ამბავი აღგიწეროთ. თუ ბავშვი დამოუკიდებლად ვერ ალაგებს, ეხმარებით და უყვებით ამბავს; ამის შემდეგ კი, უსვამთ მიმანიშნებელ შეკითხვებს (მაგალითად, ''აქ რას აკეთებს გოგო? რა უჭირავს ხელში? რატომ''?) და თავად ყვება.

ყურადღება გაამახვილეთ:

1. ემოციებზე - ''ბიჭი გაბრაზებულია? რატომ?''.
2. წინადადების სტრუქტურაზე - მაგალითად, ბავშვი ამბობს: ''ბიჭმა გაიქცა''; თქვენ აკონკრეტებთ - ''ბიჭი გაიქცა?''.
3. ანტონიმებზე, სივრცით მანიშნებლებზე და სხვ. (''ამ სურათში დღეა, აქ? ''; ''ეს ჩანგალი მაგიდაზე დევს და კოვზი?).

დაიწყეთ მარტივი, 2-3 სიუჟეტური სურათებით, ნელ-ნელა კი გაართულეთ და გაზარდეთ რაოდენობა.

2. სიტყვობანა - ვინ იცის უფრო მეტი ცხოველი, ფრინველი ან საკრავი ინსტრუმენტი? რომელი უფრო მეტს გაიხსენებს?

3. რითი ჰგავს ერთმანეთს? - ბავშვს დაუწერეთ ან აჩვენეთ სხვადასხვა ობიექტების სურათები და სთხოვეთ, გითხრათ, რა აქვთ ამ ობიექტებს საერთო. მაგალითად:

- ვაშლი, მსხალი, ფორთოხალი **(ხილია);**
- კაბა, ქურთუკი, მაისური **(ტანსაცმელია).**

4. **გამოცანები - ''ვინ ვარ მე?''**
   - ✔ ჭიქის ნაწილი ვარ და შეგიძლია ხელში დამიჭირო, ვინ ვარ? **(სახელური);**
   - ✔ სკოლაში წიგნებს ჩემი საშუალებით ატარებ. ვინ ვარ? **(ჩანთა).**
   - ✔ როცა ვრეკავ, შენ პასუხობ. ვინ ვარ? **(ტელეფონი).**

5. **წინადადების დალაგება**

მიეცით ბარათი, სადაც სიტყვები არეული თანმიმდევრობით წერია და უნდა დაალაგოს:

ადრე	დილით	ავდექი
საკოლაში	მეჩქარებოდა	რადგან

6. **არასიტყვების ამოცნობა** - სთხოვეთ ბავშვს, ხაზი გაუსვას უშინაარსო სიტყვას და დაწეროს მისი სწორი ვარიანტი:

მომიტანე თურბი **(ბურთი)**

აცივდა. უკვე ზამთაირა **(ზამთარია)**

7. სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა - სთხოვეთ ბავშვს, შეადგინოს წინადადებები ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვებისგან:

წვიმა, დღე, მთა

ბილეთი, მოგზაურობა, იტალია

8. სთხოვეთ ბავშვს, დაასრულოს წინადადება:

ცაზე ანათებს...

მე წყალს ვსვამ, შენ წყალს...

5.2. აქტივობები რეცეპტული ენის გასავითარებლად



1. ნახატიანი წიგნების თვალიერება - სთხოვეთ ბავშვს, თითით გიჩვენოთ სხვადასხვა ობიექტები. მაგალითად: ''მიჩვენე, სად არის წიწილა?''; ან, ''ვინ ჭამს საჭმელს?''

2. **რომელი <u>არ არის?</u>** მიეცით ბავშვს ორი ობიექტი და ჰკითხეთ: ''რომელი **<u>არ არის</u>** ჭიქა?''

3. **მითითებების შესრულება** - მიეცით მარტივი მითითებები. მაგალითად: *"გთხოვ, მომაწოდე ჭიქა"*; შემდეგ, ნელ-ნელა ართულებთ - *"მომაწოდე კოვზი, რომელიც ჭიქაში დევს"*; ან *"ჩადე ჭიქაში კოვზი"*.

<u>თანმიმდევრობის გაგება რომ გაუადვილდეს,</u> მიეცით ბავშვს შემდეგი ტიპის მითითებები: *"**ჯერ** მომიტანე ჭიქა და **შემდეგ** წყალი"*.

4. **ახალი სიტყვების მნიშვნელობების ახსნა** აუხსენით ბავშვს მისთვის უცხო სიტყვების მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა ''სველი''. დაასხით წყალი სხვადასხვა საგნებს და უთხარით: ''ახლა ეს სველია''. აბაზანაში ყოფნის ან წვიმის დროს, კვლავ ახსენეთ ეს სიტყვა.

5.ინსტრუქციების შესრულება ნახატების გამოყენებით - ამობეჭდეთ ობიექტები, რომელთა აღწერასაც შეძლებთ; სთხოვეთ ბავშვს, იპოვოს თქვენ მიერ აღწერილი ობიექტი.

მაგ. ''იპოვე ჩიტი, რომელსაც ახურავს ქუდი ლურჯი და მწვანე ფერებით''.

6. **თამაშების გამრავალფეროვნება** - აუხსენით ბავშვს, რა დანიშნულება აქვს სხვადასხვა სათამაშოს და როგორ შეიძლება გამოიყენოს. ეცადეთ, დაეხმაროთ მას თამაშის გამრავალფეროვნებაში. მაგალითად, თუ მოსწონს სათამაშო მატარებელი, დაეხმარეთ გვირაბების აგებაში, ქალაქის მოწყობაში (სადაც სათამაშო სახლებს და ეზოებს ჩადგამთ), მოიფიქრეთ და აუხსენით მარტივი სცენარები.

7. **რომელია ზედმეტი?** - აჩვენეთ სხვადასხვა ობიექტების სურათები და ჰკითხეთ, რომელია ზედმეტი და რატომ?

8. როდესაც გაიგონებ სიტყვას, დაუკარი ტაში - ბავშვს ეუბნებით: ''ტაში დაუკარი, როდესაც გაიგებ:

- <u>ცხოველის სახელს</u> - თუთიყუში, მტრედი, თაგვი...
- <u>ხილის სახელს</u> - პური, კიტრი, მსხალი...

ასევე შეგიძლიათ, აჩვენოთ სურათები და **სთხოვოთ, კატეგორიის მიხედვით გადაარჩიოს ისინი:** ''რომელია ცხოველი?''

9. არის თუ არა ერთი და იგივე?

წაუკითხეთ ბავშვს ორი ისეთი წინადადება, რომლებიც განსხვავებული წყობის გამო განსხვავებულ შინაარსს ატარებენ; შემდეგ კი სთხოვეთ, გიჩვენოთ, მაგალითად, სურათი, სადაც: 1. ბიჭი მისდევს ძაღლს. 2. ძაღლი მისდევს ბიჭს.

ან, ჰკითხეთ: არის თუ არა ერთი და იგივე შემდეგი წინადადებები:
1. საჭმელს იკეთებს; 2. საჭმელს უკეთებს

10. გამოტოვებული სიტყვები - მიაწოდეთ ბავშვს წინადადებები, გამოტოვეთ კავშირები **(რადგან, თუმცა, ამიტომ...)** და ჩართული სიტყვები **(მაგალითად, ცხადია, მაშასადამე...),** მიაწოდეთ ალტერნატივები და სთხოვეთ, შეარჩიოს სწორი ვარიანტი.

5.3. რეკომენდაციები პრაგმატული და სოციალურ - კომუნიკაციურიუნარების განსავითარებლად

ქვემოთ მოცემულია როგორც ზოგადი რეკომენდაციები, ასევე კონკრეტული აქტივობები კომუნიკაციური სფეროს სტიმულირებისთვის.

ზოგადი რჩევები
☆ უხმოვანეთ ბავშვს ყველაფერი, რაც ეხება ემოციებს ან მიმართვის ზრდილობიან ფორმას. მაგალითად, ''მამამ დღეს ბევრი იმუშავა და ახლა ძალიან დაღლილია. ნახე, გადაღლილი სახე აქვს''
☆ ასწავლეთ სიტუაციის შესაფერისი ლექსიკის გამოყენება. მაგალითა, ნაცვლად მოთხოვნისა "ნაყინი მინდა!", ასწავლეთ ზრდილობიანი ფორმა "თუ შეიძლება, ნაყინი მომეცით". ან, "თუ წვენი არ გინდა, უთხარი ანას - არა, მადლობა"
☆ ემოციების გამოხატვის დროს, აჩვენეთ ბავშვს სხვადასხვა მიმიკები და აუხსენით, რა ემოციას გამოხატავს იგი
☆ მოუყევით სხვადასხვა ამბები, სადაც აქცენტი გაკეთდება თქვენს გრძნობებზე და პრობლემის გადაჭრის გზებზე.
☆ გამოიყენეთ ჟესტები და გაახმოვანეთ
☆ ჩართეთ ბავშვთან თამაშში სხვა ადამიანები (დედამამიშვილები, მამა, თანატოლები..). ეცადეთ, თამაშის პროცესში ყურადღება გაამახვილოთ ჯერის დაცვასა და დალოდების მნიშვნელობაზე. მაგალითად, მშვიდად შეახსენეთ ბავშვს: ''ახლა მამას ჯერია, ისროლოს ბურთი''
☆ მიეცით ბავშვს საშუალება, შეარჩიოს სასაუბრო თემა. შემდეგ კი აკონტროლეთ, რომ გარკვეული დროის მანძილზე თემა შენარჩუნდეს. მაგალითად, ''ჩვენ ხომ სკოლის ამბებზე ვსაუბრობდით?! მოდი, გავაგრძელოთ''

ახლა კი მშობელი გაეცნობა კონკრეტულ აქტივობებს:

1. **როლური თამაშები:** ითამაშეთ ბავშვთან ერთად "დედაშვილობანა'',''ექიმობანა'',''გამყიდველობანა'' და სხვ. ასეთი ტიპის თამაშები ბავშვისგან მოითხოვს სცენარის აგებას, ამბის გადმოცემასა და აქტივობების დაგეგმვას. გარდა ამისა, ამ გზით ბავშვს ეხმარებით სხვისი ემოციების გაგება-დასახელებაში და სოციალური წესების ათვისებაში. თამაშის დროს, დასვით შემდეგი ტიპის შეკითხვები: '' რა უნდა გავაკეთოთ ამის შემდეგ?''; ''ამას რატომ აკეთებ? (მაგ.: რატომ აცვამ? რომ არ შესცივდეს?); ''რატომ ტირის შენი თოჯინა? ეწყინა, რომ ეჩხუბე?''; ''კანფეტი რომ მიეცი, როგორ ხასიათზეა? გახარებულია?''; ''რატომ მიიყვანე ექიმთან?''...

2. **წარმოსახვითი თამაშები** - სათამაშოებით გაათამაშეთ სხვადასხვა ტიპის სცენები, სადაც ბავშვმა უნდა აირჩიოს კომუნიკაციის სწორი ფორმა. მაგალითისთვის, ასწავლეთ, როგორ ესალმებიან მასწავლებელს კლასში; როგორ ითხოვოს სასურველი სათამაშო ან გაამხნევოს ატირებული მეგობარი. (''მესმის შენი''; '' შენ გვერდით ვარ'').

3. **ბარათების გამოყენება სახის გამომეტყველების ასახსნელად** შეგიძლიათ გამოიყენოთ ემოციების ამსახველი სხვადასხვა ბარათები. ჰკითხეთ ბავშვს: ''როგორ ხასიათზეა ეს გოგო?''; ან ''რომელია მოწყენილი?''. ემოციების სწავლების შემდეგ, გაართულეთ დავალება და სთხოვეთ, მოიფიქროს, რატომ შეიძლება იყოს სურათზე გამოხატული ბიჭი გაოცებული, გახარებული ან ნაწყენი. (თავდაპირველად, აქცენტი გააკეთეთ ძირითად ემოციებზე, შემდეგ კი ნელ-ნელა დაუმატეთ სახის ახალი გამომეტყველებები).

4. **პრობლემის გადაჭრის გზების ძიება ბარათების და თამაშების გამოყენებით**

აჩვენეთ ბავშვს სურათები, სადაც ნაჩვენებია სოციალური სიტუაციები და პრობლემის გადაჭრის გზები;

„ბიჭს სურს ჩაის დალევა. მაგრამ, რას აკეთებს? თავის ჯერს ელოდება''.

„გოგონას შია. როგორ უნდა უთხრას მეგობარს?''

თანდათანობით, შეგიძლიათ უფრო გაართულოთ სიტუაციები.

5.4. ფონოლოგიური ცოდნის, წერისა და კითხვის უნარების განმავითარებელი აქტივობები

ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ წერა-კითხვის ათვისების სირთულეები; ამის მიზეზი კი, რიგ შემთხვევებში, ფონოლოგიური ცოდნის დეფიციტია; ქვემოთ მოცემულია სტრატეგიები, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს მშობელი ბავშვს ფონოლოგიური სინთეზისა (მარცვლებისა და ბგერების გაერთიანება სიტყვაში) და ანალიზის (სიტყვაში ბგერებისა და მარცვლების გამოყოფა) უნარების განვითარებაში. ამასთან, აღწერილი იქნება ეფექტური სტრატეგიები წერა-კითხვის ასათვისებლად.

1. **რომელია პირველი ბგერა?** - აჩვენეთ ბავშვს სხვადასხვა ობიექტების სურათები და ჰკითხეთ, რა ბგერით იწყება. მაგალითად, აჩვენეთ თაგვის სურათი, სთხოვეთ, გითხრათ, რომელია პირველი ბგერა. თუ ვერ გპასუხობთ, თავად წარმოთქვით სიტყვა და მკაფიოდ გამოთქვით პირველი ბგერა - ''თ'' -შეყოვნდით და განაგრძეთ - ''აგვი''.

2. დამარცვლა სთხოვეთ ბავშვს, ტაში დაუკრას იმდენჯერ, რამდენი მარცვალიც არის სიტყვაში. მაგალითად, ''სკა-მი'' (ტაში დაუკრას ორჯერ);

3. **რა სიტყვა გამოვიდა?** - უთხარით სიტყვა წამღერებით ისე, რომ ბგერებს შორის გააკეთოთ პაუზა. მაგალითად: ''ბ უ'', რა გამოვიდა? ან, უთხარით სიტყვა დამარცვლით და ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რა უთხარით.

დაიწყეთ 2-3 ბგერიანი სიტყვებითა თუ მარცვლებით და ნელ-ნელა გაზარდეთ რაოდენობა.

რა გამოვა, თუ:

4. დაუსახელეთ ბავშვს სიტყვა, მაგალითად, ''ვაშლი'' და სთხოვეთ, მოაკლოს ბოლო მარცვალი ''ლი''. **რა გამოვა?** ან დაამატოს სიტყვას ''თხა'' მარცვალი ''გა'', რა გამოვა?

5. **სიტყვობანა** - სთხოვეთ ბავშვს, ჩამოთვალოს კონკრეტულ ბგერაზე (მაგ.''ბ''-ზე) დაწყებული სიტყვები. ამ თამაშში მონაწილეობა თავადაც მიიღეთ და ეცადეთ, სახალისო შეჯიბრად აქციოთ.

6. **ჟღერადობით მსგავსი სიტვების გარჩევა** - დაუსახელეთ ბავშვს ჟღერადობით მსგავსი სიტყვები და სთხოვეთ, გითხრათ, ერთი და იგივე სიტყვებს ამბობთ თუ არა. მაგალითად:

''ქალი-ქარი; ბალი-ბარი; თაგვი-თახვი'' და ა.შ.

თუ ბავშვი კითხვას სწავლობს, დახმარების მიზნით შეგიძლიათ შემდეგი აქტივობების განხორციელება:

7. **გამოჭერით ან გამოძერწეთ ასოები** - ამის შემდეგ, აჩვენეთ ბავშვს ბარათი, სადაც დახატულია რაიმე ობიექტი შესაბამისი წარწერით (მაგ. კატის სურათს გვერდით აქვს წარწერა ''კატა''); ამის შემდეგ, უთხარით მას: ''შეხედე, აქ როგორ წერია? ჩვენც ზუსტად ასე ავაწყოთ ასოები; ეს რა ასოა? თ? აბა, ვიპოვოთ..''; თანმიმდევრობით პოულობთ ასოებს და აწყობთ სიტყვას;

კატა

ბოთლი

ძვალი

ჟირაფი

8. **დადეთ ბავშვის წინ ცხოველების, ფრინველებისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების სურათები** (დაიწყეთ 3-4 ბარათით); მაგიდაზე განალაგეთ ასევე გამოჭრილი ასოებიც. შემდეგ კი, სთხოვეთ, იპოვოს ის ასოები, რითიც იწყება სურათზე გამოსახული ობიექტების სახელწოდებები; ამგვარად, ბავშვის ამოცანაა, იპოვოს, მაგალითად, ასო ''მ'' და დადოს მაიმუნის სურათთან; ან ოპოვოს ''დ'' და განათავსოს დათვის ბარათთან

მ

დ

9. **მიეცით ბავშვს ობიექტების სურათები <u>შესაბამისი წარწერებით</u> და ჰკითხეთ, არის თუ არა დაწერილი, მაგალითად, ასო "ბ";** თანდათანობით გაართულეთ დავალება - აჩვენეთ წარწერიანი ბარათი (სურათის გარეშე) და სთხოვეთ გითხრათ, ეწერა თუ არა ბარათზე კონკრეტული ასო;

10. **დააწყვეთ ბავშვის წინ გამოჭრილი ასოები** და სთხოვეთ, იპოვოს რომელიმე ასო;

11. **დაალაგეთ გამოჭრილი (ან დაწერილი) სიტყვები იმგვარად, რომ მასში იკითხებოდეს სიტყვები.** სთხოვეთ ბავშვს, იპოვოს ეს სიტყვები; მაგალითად:

ჰ ჯ ი ო უ უ ი ო <u>თ ა რ ო</u> ჯ <u>კ ა ლ ი ა</u> კ ო

12. **დაალაგეთ ბავშვის წინ ბარათები, სადაც დაწერილია სხვადასხვა მარცვლები;** ბავშვმა უნდა გააერთიანოს მარცვლები იმგვარად, რომ მიიღოს სიტყვა.

ქოლ	ლო	გა	მი	ბა	დი

13. **მიეცით ბარათებზე დაწერილი ასოები და სთხოვეთ, მათი გამოყენებით შეადგინოს სიტყვა**. თავდაპირველად, მიეცით ერთი სიტყვის შემადგენელი ასოები;

თანდათანობით შეგიძლიათ გაართულოთ დავალება და სთხოვოთ, მიწოდებული ასოებით შეადგინოს რაც შეიძლება მეტი სიტყვა. საჭიროების შემთხვევაში, მიეცით მინიშნებები.

თ ა ხ ი

14. უთხარით ბავშვს სიტყვა და სთხოვეთ, გითხრათ, **რომელია,** მაგალითად, **მეორე ან ბოლო ასო.** თუ ვერ გპასუხობთ, აჩვენეთ დაწერილი სიტყვა და სთხოვეთ, გადათვალოს.

15. უთხარით სიტყვა და **სთხოვეთ, გამოიცნოს, რომელი ბგერა აკლია.** თუ ვერ გპასუხობთ, შეგიძლიათ დაუწეროთ და ამგვარად აჩვენოთ.

ასოების წერის სწავლების მიზნით კი, შეგიძლიათ შემდეგი აქტივობების დაგეგმვა:

16. სახატავ ფურცელზე **დახატეთ და გააფერადეთ რაიმე** ფიგურა; შემდეგ კი, გვერდით, წყვეტილი ხაზებით დახაზეთ ის ასო, რომელზეც ფიგურის სახელწოდება იწყება (მაგალითად, დახატეთ სახლი და გვერდით, წყვეტილი ხაზებით - "ს"); სთხოვეთ ბავშვს, ფანქრით შეაერთოს წერტილები.

17. **დადეთ მაგიდაზე გამოჭრილი ასო-ბგერა;** დაეხმარეთ ბავშვს, გამოძერწოს იგივე ასო; დროთა განმავლობაში, გაართულეთ და თვალსაჩინო მასალის გარეშე სთხოვეთ ბავშვს ასოების გამოძერწვა;

18. **ხელის საღებავებით დახატეთ** სხვადასხვა ასოები და სიტყვები;

5.5 მეტყველების გაუმჯობესების სტრატეგიები

ქვემოთ განხილულია, თუ როგორ უნდა დაეხმაროსსახლის პირობებში მშობელი ბავშვს მეტყველების განვითარებაში.

5.5.1 სამეტყველო სუნთქვის მოსაწესრიგებელი აქტივობები

იმის დასადგენად, თუ რის გამო აქვს ბავშვს მეტყველებს პრობლემები, აუცილებელია სპეციალისტის შეფასება. თუ დადგინდა, რომ სირთულეების მიზეზი არასწორი სუნთქვაა, შეგიძლიათ შემდეგი აქტივობების გამოყენება:

ბაფთები და პეპლები - აიღეთ რამდენიმე მკვეთრი ფერის ქაღალდი; (სასურველია, ბავშვიც ჩართოთ საქმიანობაში); თქვენი სურვილის მიხედვით გამოჭერით ბაფთები ან პეპლები და მიამაგრეთ ფერად ძაფებზე. დაამაგრეთ ძაფზე დაკიდებული ბაფთები ჯოხზე, გარკვეული დისტანციის დაცვით; ჯოხი კი დაამაგრეთ ან დაიჭირეთ ისე, რომ ბაფთები ეკიდოს ბავშვის სახის სიმაღლეზე. ბავშვმა უნდა ჩაჰბეროს და ბაფთები ააცეკვოს;

- გაბეროს ბუშტი, დაჩუტოს შემდეგ ისევ გაბეროს. სთხოვეთ, გაიმეოროს რამდენჯერმე!
- გაბერილ ბუშტს მოუკარით თავი, ააგდეთ ზემოთ და ქვემოდან შებერვით ეცადოს, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს ბუშტი ჰაერში.
- ნახევრამდე გაუვსეთ ჭიქა წყლით; მიეცით კოქტეილის ჩხირი და ჩაბეროს;
- საპნის ბუშტები - სთხოვეთ, ღრმად ჩაისუნთქოს და ერთი ძლიერი ამოსუნთქვით შეუბეროს საპნიან რგოლს. შემდეგ ჩაისუნთქოს და ნელი და ხანგრძლივი ამოსუნთქვით შეუბეროს რგოლს, გამოვა ერთი დიდი ბუშტი და ასე მორიგეობით, ხან ბევრი ბუშტები გამოუშვას, ხან ცოტა.
- სასტვენი და ჩასაბერი სათამაშოები, ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ აქტიურად.

5.5.2. სამეტყველო ორგანოების გასავარჯიშებელი აქტივობები

საარტიკულაციო ორგანოების გასავარჯიშებლად ეფექტურია შემდეგი აქტივობები (ჯერ თქვენ გააკეთეთ და ბავშვს სთხოვეთ, გაიმეოროს): გახსოვდეთ, რომ ეს ვარჯიშები სიფრთხილით უნდა შესრულდეს

ღეჭვა - გააკეთეთ ღეჭვის იმიტაცია და სთხოვეთ
ბავშვს, გაიმეოროს იგივე (დაახლოებით, 8-10ჯერ)
მოკუმული ბაგეები - მოკუმული ბაგეები აზიდეთ ჯერ ზემოთ (ცხვირისკენ), ხოლო შემდეგ ქვემოთ, ნიკაპისკენ (8-10ჯერ)
მოკუმული ბაგეები დაატრიალეთ წრიული მოძრაოობით (მარჯვნიდან მარცხნისაკენ და პირიქით)
გააღეთ პირი; შემდეგ კი ამოძრავეთ ქვედა წრიული მოძრაობებით
გააღეთ პირი და ქვედა ყბა ამოძრავეთ მარჯვნიდან მარცხნისაკენ და პირიქით
შეასრულეთ წრიული მოძრაობები კბილებსა და ბაგეებს შორის ენით; ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ - პირიქით
წაწვეტებული ენის წვერით ''დაჩხვლიტეთ'' ლოყები შიგნიდან; მარჯვენა და მარცხენა თანმიმდევრობით
ლოყიდან ლოყაში გადააგდეთ დაგუბებული ჰაერი (ვარჯიში სრულდება თითო-თითოჯერ ან ორ-ორჯერ)
მოღუნეთ ენა და წვერით შეეხეთ რბილ სასას; შემდეგ დააბრუნეთ უკან
პირის გარეთ გამოყოფილი ენა მორიგეობით ამოძრავეთ მარჯვნივ-მარცხნივ
სახის კუნთების გასავარჯიშებლად, გაზიდეთ სახის კუნთები განზე ისე, რომ ღიმილის იმიტაცია გამოვიდეს
გაზიდეთ სახის კუნთები წინ და შეჭმუხნეთ ისე, რომ გაბრაზებული გამომეტყველება მიიღოთ. (მ.ბერიკაშვილი;2017)

5.5.3. რეკომენდაციები ბგერათწარმოთქმის გასაუმჯობესებლად

ბგერათწარმოთქმის დარღვევის დროს, ვერ ხერხდება სამეტყველო აპარატისთვის სწორი პოზის მინიჭება. შესაბამისად, იცვლება ჟღერადობა. იმისათვის, რომ ბავშვმა სწორად იმეტყველოს, აუცილებელია მას ჰქონდეს კარგი ფონემატური სმენა. ამგვარად, მუშაობა მიმართული უნდა იყოს ორი მიმართულებით: 1. მოსმენილი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა და მათი გაცნობიერება; 2. სწორი არტიკულაციის სწავლება დაკვირვების გზით.

ამგვარად, სირთულეების აღმოფხვრაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმა ასეთია:

- ბავშვს უნდა დაეხმაროთ **ფონემატური სმენის განვითარებაში;**
- **ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ბგერა სხვაგვარად უნდა გამოთქვას;** თუმცა, არ უთხრათ: ''არასწორია''; მხოლოდ, უსწორებთ და აჩვენებთ, როგორ გამოთქვას სიტყვა თუ ბგერა.
- **სარკის წინ ნელა აჩვენეთ,** რა მოძრაობებს აკეთებთ ბგერის გამოსათქმელად. შემდეგ კი, სთხოვეთ ბავშვს, გაიმეოროს.

5.5.4 რჩევები ენაბორძიკის დროს

თუ ბავშვს ენის მოქნილობის დარღვევა აქვს, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ილაპარაკეთ ნელი და მშვიდი ტონით;
- ხანდახან **ელაპარაკეთ ბავშვს წამღერებითი ინტონაციით** (ამას სახალისო და დამამშვიდებელი გავლენა ექნება ბავშვზე,რაც დაძაბულობას შეუმცირებს მას);
- **არ მოსთხოვოთ ბავშვს** სიტყვებისა და წინადადებების გამეორება;
- **გააკეთეთ მცირე პაუზა** მას შემდეგ, რაც ბავშვი სათქმელს დაამთავრებს (მაშინვე არ გაუკეთოთ მის ნათქვამს კომენტარი). ამით ბავშვს მისცემთ დასვენების საშუალებას.
- **ასწავლეთ ბავშვს კონკრეტული სტრატეგიები** (მაგალითად, ღრმად ჩაისუნთქოს, როცა იძაბება; ან ილაპარაკოს ნელა);
- **თუ ხვდებით, ბავშვი წინასწარ ნერვიულობს** იმაზე, რომ შეიძლება მეტყველების პრობლემები შეექმნას კონკრეტულ სიტუაციაში, უთხარით : ''გახსოვს ის სტრატეგიები, რაც ერთად ვისწავლეთ?'' ან ''გამოიყენე ის ტექნიკები, რაც მეტყველების თერაპევტმა გასწავლა''.

- **თუ ხედავთ, რომ ბავშვი დაძაბულია და ენა ებმის,** არ გაუსწოროთ შეცდომა; არ დაუსვათ ისეთი კითხვები, რაც მისგან ბევრ საუბარს მოითხოვს; მაგალითად, ნაცვლად იმისა, ჰკითხოთ, რას მიირთევს სადილად, შეეკითხეთ: ''სპაგეტი და წვნიანი გვაქვს; შეჭამ წვნიანს?'' (ანუ, დასვით ისეთი კითხვა, რომელზეც პასუხს ჟესტებითაც გაგცემთ);
- ბავშვები ძალიან კარგად გრძნობენ მშობლის დამოკიდებულებებს; ამიტომ, როცა ბავშვი საუბრობს, **ეცადეთ, გქონდეთ მშვიდი და მხარდაჭერის გამომხატველი გამომეტყველება;**
- საუბრის დროს, **არ უთხრათ ბავშვს ისეთი სიტყვები, როგორიცაა** ''დამშვიდდი'' ან ''დაფიქრდი, სანამ დაიწყებ ლაპარაკს''; უბრალოდ , როცა ატყობთ, რომ მეტყველება მოუქნელი ხდება, გააკეთეთ სუნთქვითი ვარჯიში - ღრმად ჩაისუნთქეთ მასთან ერთად და ამოისუნთქეთ (რამდენჯერმე); შემდეგ კი, გაუღიმეთ;
- **აუცილებლად აღნიშნეთ, როცა** ბავშვი გამართულად და გააგებად ჩამოაყალიბებს აზრს: ''მომეწონა, როგორც ჩამოაყალიბე შენი სათქმელი'';
- **ეცადეთ, არ შეუქმნათ ბავშვს ისეთი სიტუაციები, სადაც ინერვიულებს,** რადგან ეს მეტყველებაზე აისახება უარყოფითად. არ დაუსვათ ძალიან ბევრი კითხვა დროის მცირე მონაკვეთში;
- არ აარიდოთ თავი ამ პრობლემის განხილვას ბავშვთან ერთად. იგნორირება გამოსავალი არ არის! ბავშვს აწუხებს თავისი მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ თანატოლებივით მოქნილად ვერ ლაპარაკობს. თუ ბავშვი დაცინვის ობიექტი გახდება, არ უთხრათ მას შემდეგი ფრაზა: '''ნუ დარდობ''; უთხარით, რომ ძალიან ცუდია, ეს რომ მოხდა და დაიწყეთ მასთან ერთად გამკლავების გზების ძიება;
- **ელაპარაკეთ ბავშვს მის ძლიერ მხარეებზე.** ყურადღება გაუმახვილეთ იმაზე, რაც კარგად გამოსდის;

დანართი №1

ასაკი	რეცეპტული ენა	ექსპრესიული ენა და მეტყველება	სოციალური უნარები (კომუნიკაცია)
პირველი თვე	ხმამაღალ სიგნალებზე საპასუხოდ კრთება; ხმის გაგონებაზე, ატრიალებს თავს მოსაუბრისკენ; ჩუმდება, როცა ესაუბრებიან	როცა რაიმე სურს, იწყებს ტირილს.	გარშემომყოფებს უყურებს სახეზე; თვალს აყოლებს მოძრავი ადამიანის სახეს.
1-3 თვე	ხმის (ან ხმაურის) გაგონებისას ჩუმდება;	იწყებს ცალკეული ბგერების წარმოთქმასა და ღუღუნს; როცა ესაუბრებიან, გამოსცემს ხმებს; სხვადასხვაგვარად ტირის ბრაზის, შიმშილის თუ სხვა ტიპის დისკომფორტის დროს;	მოსაუბრეს უღიმის; თვალს აყოლებს ადამიანის მოძრაობას;
4-5 თვე	პირდაპირ უყურებს მოსაუბრეს; ეძებს ხმის წყაროს; ყურადღებას აქცევს ხმოვან სათამაშოებს.	ღუღუნით "საუბრობს"; ხმის ტემბრი იმატებს.	ხალისიანად უღიმის ადამიანებს; მზრუნველებსა და უცხო ადამიანებზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს.
6-8 თვე	ცნობს სახელს; დამშვიდობების ან მისალმების მიზნით იყენებს ჟესტებს; სიტყვების - „დედა" ან „მაზა"-ს გაგონებისას, თავს ატრიალებს მშობლისკენ	ტიტინის დროს იყენებს უფრო მეტ თანხმოვანს; ბაძავს პირის მოძრაობებს და ცდილობს, სიტყვა ეღერადობით მიამსგავსოს გაგონილს; როცა ესაუბრებიან, საპასუხოდ გამოსცემს ხმებს;	მფოთავს უცხო პირებთან; ცდილობს, აყვეს მელოდიას; თამაშობს სათამაშოებით; შეუძლია სათამაშოს გაგიარება, მაგ. უგორებს ბურთს სხვა ადამიანს.

ასაკი	რეცეპტული ენა	ექსპრესიული ენა და მეტყველება	სოციალური უნარები (კომუნიკაცია)
9-11 თვე	იგებს "არა"-ს მნიშვნელობას; ოჯახის წევრის სახელის ხსენებისას, იხედება მისკენ; თავს აბრუნებს სახელის დაძახებისას; იყურება დასახელებული ობიექტის მიმართულებით;	თითს იშვერს მისთვის საინტერესო საგნისკენ; მიზანმიმართულად იყენებს ერთ ან ორმარცვლიან სიტყვებს.	თამამობს "ჭიტა"-ს; დამშვიდობების ნიშნად, ხელს უქნევს ადამიანებს.
12-14 თვე	ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს, მაგალითად, "გამომიგორე ბურთი" ან "მომანოდე ფეხსაცმელი"; შეუძლია იპოვოს დასახელებული საგანი; ესმის ყოველდღიური საგნების აღმნიშვნელი სიტყვები;	მიუთითებს სასურველ ობიექტზე; იმეორებს სიტყვებს; იყენებს 3-დან 20-მდე ცალკეულ სიტყვას, უმეტესწილად ხმოვან სიგნალებს (უხ, ვახ), ცხოველთა სახელებსა (მაგ. "კატა"; "ძაღლი") და ცხოველთა ხმებს (მიაუ);	აქტიურად ბაძავს სხვებს; თვალებში უყურებს მოსაუბრეს.
15-18 თვე	ესმის ისეთი თანდებულების მნიშვნელობა, როგორიცაა „ში" და „ზე". მიუთითებს სხეულის ერთ ან ორ ნაწილზე (მაგ. მაჩვენე ცხვირი); უფრო მეტი სიტყვა ესმის, ვიდრე ამბობს.	იმრდება სიტყვათა მარაგი ; იყენებს თავის სიტყვებს (მაგ. „ბაჩი" ფეხსაცმლის ნაცვლად); ჯერაც ვერ ახერხებს კატეგორიზაციას; მაგალითად ყველა ცხოველს ეძახის კატას; ახმოვანებს გარემოს (მაგალითად, ამბობს -"ღღღ"-ს მანქანის დანახვისას);	დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში იღიმის; მიუხედავად აკრძალვისა, ჯიუტად აგრძელებს ქმედებას.
18-24 თვე	შეუძლია მიუთითოს სხეულის 4-5 ნაწილზე; ესმის 300-მდე სიტყვის მნიშვნელობა; ასრულებს ორსაფეხურიან ინსტრუქციებს (მაგ. "აიღე ჭიქა და მიუტანე ბებოს");	წარმოთქვამს 50-მდე სიტყვას; წარმოთქვამს 2 სიტყვიან ფრაზებს;	იწყებს იმიტაციურ თამაშებს (მაგ. ვითომ ტელეფონზე საუბრობს, ბავშვს აჭმევს და ა.შ.)

ასაკი	რეცეპტული ენა	ექსპრესიული ენა და მეტყველება	სოციალური უნარები (კომუნიკაცია)
2-2.5 წელი	ესმის ცნებები ''ერთი-ყველა''; ''დიდი-პატარა''; ესმის 500-მდე სიტყვის მნიშვნელობა	ნარმოთქვამს 200-მდე სიტყვას; იწყებს ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას, როგორიცაა „რა" და „სად"; იწყებს მრავალობითი რიცხვის გამოყენებას მეტყველება უფრო მეტად ხდება გასაგები უცხოთათვის; იყენებს კუთვნილებით ნაცვალსახელებს.	ითხოვს დახმარებას კბილების გახეხვასთან და ტუალეტის ჩვეულებთან დაკავშირებით; უფროსთან ერთად ღიღინებს ნაცნობ სიმღერებს.
2.5-3 წელი	ესმის 900-მდე სიტყვის მნიშვნელობა; ნაცნობი საგნის დანიშნულების აღნერისას შეუთითებს საგანზე (მაგ. სად ვინახავთ საჭმელს? ბავშვი მიუთითებს მაცივარზე)	ნარმოთქვამს 500-მდე სიტყვას; იყენებს პირის ნაცვალსახელებს (ის, ისინი..) შეუძლია უარყოფითი ფორმის გამოყენება (მაგ. მაშა არ არის);	იწყებს ამბის მოყოლას, მაგალითად, რას აკეთებდა ბაღში;
3-3.5 წელი	ესმის 1,200-მდე სიტყვის მნიშვნელობა; ასრულებს ორ დაუკავშირებელ ინსტრუქციას (წიგნი დადე თაროზე და შემდეგ ფეხსაცმელი მოიტანე)	ნარმოთქვამს 800-მდე სიტყვას; ზეპირად ითვლის 5-მდე ასახელებს ძირითად ფერებს; იყენებს ნარსულ დროს; პასუხობს ისეთ მარტივ კითხვებს, როგორიცაა ''რა'', '' ვინ'', ''რატომ'', ''როგორ'', ''რამდენი''?	იწყებს სხვა ბავშვებთან რთულ ინტერაქციას, როგორიცაა მაგალითად, სახლობანას თამაშის დროს როლების გადანაწილება
3.5-4 წელი	ესმის 1,500–2,000-მდე სიტყვის მნიშვნელობა; ასრულებს სამ საფეხურიან ინსტრუქციებს	შეუძლია დათვალოს 5 საგანი; ამბობს საკუთარ სახელსა და გვარს; არტიკულაცია ხდება უფრო მკაფიო და მეტად გასაგებია უცხოთათვის; შეუძლია ჩვეული საგნების დანიშნულების ახსნა.	აწყობს საგნებს კატეგორიების მიხედვით, თუმცა არ შეუძლია კატეგორიის დასახელება (მაგ. ეს ყველა ცხოველია); არასწორ ინფორმაციას აპროტესტებს სიტყვიერად (მაგ. ცა არ არის ნითელი!); შეუძლია როლური თამაშების ორგანიზება (მაგ. დედა-შვილობანა);

ასაკი	რეცეპტული ენა	ექსპრესიული ენა და მეტყველება	სოციალური უნარები (კომუნიკაცია)
4-5 წელი	ესმის 2,000 - 2,800-მდე სიტყვის მნიშვნელობა იცის მძიმე/მსუბუქი, მძიმე/რბილის მნიშვნელობები	ნარმოთქვამს 1,500–2,000-მდე სიტყვას; უჭირს ისეთი სიტყვების ნარმოთქმა სადაც თანხმოვნები მიყოლებითაა ნარმოდგენილი (მაგ. სიტყვა „მანქანის" ნაცვლად „მაქანა"); ყვება ამბებს სურათების გარეშე; ადგენს რთულ ნინადადებებს (მაგ. ''ნავედით მაღაზიაში და ვიყიდეთ პური''); იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა ''ზემოთ/ქვემოთ, ზედ/ქვეშ''; ხანდახან ტოვებს ან ანაცვლებს თანხმოვნებს; ხშირად იყენებს კუთვნილებით ფორმებს; უმეტესწილად, ახლობლებისთვის გასაგებად საუბრობს	საუბრობს საკუთარ გრძნობებზე; იყენებს ისეთ ფრაზებს, რაც ხშირად ესმის - მაგ. ''თავი დამანებე''; შეუძლია სიუეტურ სურათზე ახახული ამბის გაგება; ესმის ნელიწადის დროების მნიშვნელობა და შეუძლია თქვას თუ რა ხდება თითოეულ პერიოდში; შეუძლია მოკლე ისტორიის მოსმენა და ამბავზე დაყრდნობით კითხვებზე პასუხის გაცემა; სხვადასხვა მოვლენების მიზეზების გასაგებად, ხშირად სვამენ კითხვას ''რატომ''?
5-7 წელი	თითქმის ყველა გაგონილი სიტყვის მნიშვნელობა ესმით; ესმით ისეთი ცნებები როგორიცაა 'მეტი/ნაკლები, გუშინ/ხვალ, უფრო ცოტა/უფრო ბევრი''	ითვლის 20 საგანს; შეუძლია კვირის დღეების თანმიმდევრობით ჩამოთვლა; იცის, როდის აქვს დაბადების დღე; სწორად იყენებს ნაცვალსახელებს; შეუძლია საგნებს შორის განსხვავებებისა და მსგავსებების დადგენა.	ამბობს და ესმის მარტივი ხუმრობები; დარტყმის მაგივრად, შეუძლია გაბრაზება გამოხატოს სიტყვით; დაინტერესებულია სწავლითა და კითხვით და სურს, კარგი შედეგები ჰქონდეს.

დანართი №1

ასაკი	იმპრესიული ენა	ექსპრესიული ენა და მეტყველება	სოციალური უნარები
ადრეულ ასაკში (4 თვემდე)	თითქოს, ვერ ამჩნევს ხმებს	როცა რაიმე სურს, იწყებს ტირილს.	გარშემომყოფებს ყურადღებას არ აქცევს
6 თვემდე	ვერ ხვდება, საიდან მოდის ხმა	არ დაუწყია ღუღუნი	არ უღიმის სხვა ადამიანებს ან არ ცდილობს მათთან ურთიერთობას; არ ამყარებს თვალით კონტაქტს;
9 თვემდე	არ რეაგირებს სოციალურ ინტერაქციაზე	**არ ტიტინებს** (არ გამოსცემს თანხმოვნების შემცველ ბგერებს);	**როცა ეთამაშებიან, არ** ღუღუნებს **და** არ ტიტინებს; არ ან იშვიათად ამყარებს თვალით კონტაქტს
12 თვემდე	როცა სთხოვენ,**არ** უშიარებს სხვას სათამაშოს; არ რეაგირებს სახელზე; არ იქცირება მშობლის მიმართულებით "მამა"-ს ან "დედა"-ს გაგონებისას;	ჩვილის ხმოვანი და ჟესტური სიგნალები მნირია **არ** ცდილობს **ნაცნობი ხმოვანი** სიგნალებისა და **მოქმედებების** იმიტაციას	**არ თამაშობს** სათამაშოებით **მიუთითებს მხოლოდ** იმ საგნებისკენ **რაც** სჭირდება **ან** უნდა, **არ** ავლენს **ინტერესს** სხვა საგნების მიმართ მარტივად ბრაზდება **ისეთ ხმოვან** سიგნალებზე, **რაც** სხვას **არ** გაღიზიანებდა
18 თვემდე	ესმის 50 სიტყვაზე ნაკლები	წარმოთქვამს ძალიან ცოტა სიტყვას	**არ** იქცირება მშობლის მითითების მიმართულებით **არ** თამაშობს "ჭიტას";
2 წლამდე	**ვერ** იგებს, რას ეუბნებიან; **არ** იცის სხეულის ნაწილები;	**არ** იყენებს ორსიტყვიან ნინადადებებს; კომუნიკაციისთვის **ძირითადად** იყენებს ჟესტებს; **სიტუაციასთან** შეუსაბამოდ იმეორებს ფრაზებს.	**თანატოლებთან** შედარებით, **ნაკლებად** ითხოვს სხვებთან ურთიერთობას;
3 წლამდე	ეი და არა პასუხის შესაბამისად **არ** აქნევს თავს შესაბამისი მიმართულებით	ბავშვს **არ** შეუძლია სიტყვების გადაბმა ნინადადების **ასაგებად** **არ** ითხოვს **მოსაუბრისგან** პასუხს **არ** სვამს **კითხვებს** ხშირად ღიზიანდება, **როცა** საუბარს ვერ გამოხატავს.	

ასაკი	იმპრესიული ენა	ექსპრესიული ენა და მეტყველება	სოციალური უნარები
4 წლამდე	ბავშვს **არ ესმის** დიდი-პატარას, ყველა-ერთის **მნიშვნელობა** **არ** ასრულებს ორსაფეხურიან მითითებებს	**არ** პასუხობს **რა** **და** **სად** კითხვებს უცხოებს **არ ესმით** **მისი** **საუბრის** მნიშვნელობა **უჭირს** აზრის **გამოხატვა** **საუბრობს** მხოლოდ **ერთ** **თემაზე**	**არ** **თამაშობს** **თანატოლებთან** **კომუნიკაციისას** **არ** **ელოდება** **თავის** **ჯერს**
5 წლამდე		ურევს თანხმოვნებს **უჭირს** **კომუნიკაცია** **თანატოლებთან** **არ** ითვლის ხუთამდე **არ** ასახელებს ძირითად ფერებს **არ** პასუხობს მარტივ კითხვებს (რა, **სად**, **როდის**, **რატომ**, **როგორ**, **რამდენი?**)	**არ** **უნიარებს** **სათამაშოებს** **სხვებს** **არ** **იყენებს** **ენას** **სოციალური** **ინტერაქციისთვის**
7 წლამდე	ბავშვს **არ** ესმის **ზემოთ-ქვემოთ** **სიტყვების** **მნიშვნელობა**	**არ** **ესმის** **მოქმედებების** **თანმიმდევრობა** **ვერ** **ყვება** **ნაცნობ** **ამბებს** **სურათზე** **დაყრდნობით**; **ოჯახის** **წევრებსა** **და** **უცხოებს** **არ** ესმით **მისი** **ნათქვამი**	

ტერმინთა განმარტება

აუდიოლოგი - სპეციალისტი, რომელიც სვამს დიაგნოზს და მკურნალობს სმენასთან და ბალანსთან დაკავშირებულ პრობლემებს.

არავერბალური მიმანიშნებლები - არამეტყველებითი კომუნიკაციის საშუალება, რომელშიც შედის სხეულის ენა, დისტანცია, ხმისა და შეხების მახასიათებლები.

დასწავლის უნარის დარღვევა - ვლინდება ისეთი უნარების მოუმწიფებლობით, რაც აუცილებელია სასკოლო მასალის ასათვისებლად;

ვესტიბულური შეგრძნებები - იგულისხმება სხეულის წონასწორობისა და მოძრაობების შესახებ ინფორმაცია;

კოგნიტური უნარები - გულიხსმობს სხვადასხვა გონებრივი აქტივობის შესრულების უნარს.

კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია - ფსიქიკური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად შექმნილი ფსიქო-სოციალური თერაპიის ნაირსახეობა.

კომორბიდობა - ორი ან მეტი დარღვევის ერთდროული თანაარსებობა.

კოხლეარული იმპლანტი - სამედიცინო ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მაგრდება ოპერაციის მეშვეობით და დაზიანებული შიდა ყურის ნაცვლად ითავსებს სმენის ფუნქციას.

მედიკამენტოზური მკურნალობა - დაავადების სიმპტომების წამლების მეშვეობით მართვა.

მუტიზმი - მეტყველების შეწყვეტა;

მუშა მეხსიერება - ინფორმაციის ხანმოკლე დროით დამახსოვრება, რადგან ის საჭიროა კონკრეტული მოქმედების დროს, მიზნის მისაღწევად;

ნეიროფსიქოლოგი - არისფსიქოლოგი,რომელსაცშეუძლია თავის ტვინსა და ქცევას შორის ურთიერთკავშირის დადგენა.

ოკუპაციური თერაპევტი - სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია დაეხმაროს პაციენტებს ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო უნარების აღდგენაში.

ორალურ-მოტორული - სახის კუნთების მოძრაობასთან დაკავშირებული.

ოტოლარინგოლოგი - ექიმი, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება ყურის, ცხვირის, ხახისა და ხორხის დაავადებების შესახებ.

სელექციური მუტიზმი - ცალკეულ სიტუაციებში ან კონკრეტულ ადამიანებთან შფოთვითი აშლილობით გამოწვეულ მეტყველების უუნარობას.

სემანტიკური მეხსიერება - მეხსიერების ეს ფორმა ინახავს ინფორ-მაციას სიტყვების მნიშვნელობების და ცნებების შესახებ;

სენსორული ინტეგრაცია -სენსორული ინტეგრაცია არის ორგანიზმის უნარი, გადაამუშავოს შეგრძნების ორგანო-ებიდან (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება) მიღებული ინფორმაცია. სენსორული ინტეგრაციის დარ-ღვევა ვლინდება მაშინ, როცა ფერხდება ტვინის მიერ შეგრძნებების გაანალიზების, ორგანიზებისა და გაერთი-ანების (ინტეგრაციის) უნარი.

ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი - სიტყვაში შემა-ვალი ბგერებისა და მარცვლების დაშლას (ანალიზი) და შემდგომში ბგერების სიტყვებად გაერთიანებას (სინთეზი).

ფსიქოგანათლება - ფსიქიკური ჯანმრთელობისა და დაა-ვადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესი.

შფოთვითი აშლილობა - ფსიქიატრიული მდგომარეობა, რომელიც მოიცავს უეცარი შიშისა და შფოთვის შეტევებს.

ცენტრალური ნერვული სისტემა - ნერვული სისტემის ნაწილი, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნაწილში პასუ-ხების გაგზავნით უზრუნველყოფს სხეულის ყველა სისტემის ერთობლივ მუშაობას. ეს სისტემა აერთიანებს ზურგს ტვინსა და თავის ტვინს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასმათ ჩხიტუნიძე (2015); GESJ; Education Science and Psychlogy/No.1 (33);
- მანანა ბერიკაშვილი (2017); სავარჯიშოები მეტყველების ტექნიკის დასა-ხვეწად; გამომცემლობა ''კენტავრი''; თბილისი 2017;
- Early support: helping every child succeed (2005);Information for parents speech and language difficulties ; published by Department of education and skills;
- Beithman J.H and Brownlie E (2012); Language development and its impact on children's Psychosocial and Emotional Development; Encyclopedia on early childhood development;
- The communication trust – every child understood; speech, language and commu-nication: information for managers ans school stuff (online); available:
- https://www.thecommunicationtrust.org.uk/media/13565/managers_pack_final_fi-nal_8th_may.pdf
- Parent network and resource center (2015); speech and language difficulties (on-line); available:
- https://matrixparents.org/wp-content/uploads/2015/03/Speech-Language-3.15.pdf
- Brunner E.; Willinger U etc. (2003); behavior in children with language develop-ment disorders; Can J Psychiatry, vol 48,
- National educational psychological service (2015); activities to develop receptive language and comprehension skills (primary years 7+); NEPS, GPG.
- North Shore Pediatric Therapy; 10 activities to develop expressive language (on-line); available:
- https://nspt4kids.com/parenting/10-activities-develop-expressive-language/?fb-clid=IwAR1dLbDNapP5alY4Y_PfxVN5CjbSqcvXWZjWmTnmj_QPPk4MwfrIn-qpR3N0
- NHS Foundation trust; activities to develop receptive language (online); available:
- https://www.nelft.nhs.uk/download.cfm?doc=docm93jijm4n2450.pdf&ver=3993&f-bclid=IwAR11GCcBGmaL2MT95B8zna1ztoGHoKWdPbX122293s0S1adcPiWCT-MZqvtw

- A. C., R. W., & De, E. C., (n.d.). LANGUAGE DISORDERS: RECOMMENDATIONS FOR IMPROVING TEACHERS. Retrieved from
- https://www.education.udel.edu/wp-content/uploads/2013/01/Language-Disorders.pdf
- L. M. (2010). Special Education: A Basic Guide for Parents. Retrieved 2018, from
- https://www.nasponline.org/Documents/Resources and Publications/Handouts/Families and Educators/Special_Education_a_Basic_Guide_for_Parents.pdf
- Education.ie. (2018). [online] Available at:
- https://www.education.ie/en/Schools-Colleges/Services/National-Educational-Psychological-Service-NEPS-/NEPS-Guides/Language-Skills/Language-Difficulties
- Guidance for Teachers and Strategies for In Class-Support-Primary.pdf [Accessed 20 Nov. 2018].
- Feit D. and Feldman H, MD, PhD.(2007) The Parent's Guide to Speech and Language Problems New York, NY, McGraw-Hill.
- Clinical Practice Guideline: Quick Reference Guide. Communication Disorders,
- Assessment and Intervention for Young Children (Age 0-3 Years). 5 1/2" x 8 1/2", 122 pages, 1999. Reprinted 2008, 2009. Publication No. 4219.
- http://kids.ge/articles